31/01/2024

MES 8 24 0000095427

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლა
დალი რაზმაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა
თამარ მამულაშვილი - სკოლის საქმისმწარმოებელი

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლა
ცისანა ჩარკვიანი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

სსიპ - სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლა

გოჩა შუბითიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
თამარ კვანტიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ანა ანუშიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
დიმიტრი პოპოვი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ავთანდილ კეჭაყმაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა

ნანა ედიშერაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ირმა ამირანაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ეკატერინე გურგენაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე გავაშელიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
გვანცა მოლაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

მარიკა ბოცვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლა

მირანდა იაკობიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნინო გოგსაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ხათუნა გეგეშიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მზია კიპაროიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მარიამ კუჭუხიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან პარუნაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ირაკლი ქობალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 17 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს წევრებს და განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლას 2024 წლის 17 იანვარს N35295 წერილით ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა შუამდგომლობა საკითხის გადადებასთან დაკავშირებით, რადგან ობიექტური მიზეზის გამო სკოლის დირექტორი ვერ ახერხებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას.
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელმა, თამარ მამულაშვილმა განმარტა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სკოლის დირექტორი, ვასილ ქეშელაშვილი ვერ ესწრებოდა საბჭოს სხდომას. საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო ისეთი სახის ხარვეზები და რეკომენდაციები, რომელთა შესახებაც საჭირო იყო სკოლის დირექტორისგან მიეღო საბჭოს მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხები. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი მოსაზრება. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადატანასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს განუმარტა, რომ სკოლის მიერ ცენტრში არ იყო წარმოდგენილი რაიმე სახის შუამდგომლობა ან ოფიციალური მინდობილობა საბჭოს სხდომაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საბჭოს უნდა განეხილა უახლოეს საბჭოს სხდომაზე ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით, რადგან ადმინისტრაციული ვადა იწურებოდა 2024 წლის 27 იანვარს. საბჭომ გაიზიარა ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ონში, მინდელის ქუჩა N1-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 450 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ორი კომპიუტერული ლაბორატორია, რაც იძლეოდა ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობის გაძლიერების საშუალებას. გარდა ამისა, სკოლას ჰქონდა კომპიუტერებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა/მედიათეკა და საპილოტე რეჟიმში ხორციელდებოდა სამხედრო საქმის სწავლება.
ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 3.6 კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. აგრეთვე, „მეტწილი“ შესაბამისობით იყო შეფასებული 3.4 კომპონენტი.
ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ აღნიშნა, რომ იმ კომპონენტებთან დაკავშირებით, რომლებიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო აზიის განვითარების ბანკის პროექტში და ამ პროექტის ფარგლებში აღნიშნული სკოლა გახლდათ ერთ-ერთი, სადაც განხორციელდებოდა პროფესიული პროგრამები, აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, სკოლას მიღებული ჰქონდა თუ არა ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოსგან წერილი შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის, დალი რაზმაძის განმარტებით, სკოლამ მდგრადობის შესაფასებლად მოიწვია შპს „ქრიზოლითი +“, რომელმაც დაწესებულების შენობის შესწავლის შემდგომ მომზადებულ დასკვნის პროექტში აღნიშნა, რომ სკოლის შენობას ესაჭიროებოდა მზიდი კონსტრუქციის აღდგენა-გაძლიერება, რაც გულისხმობდა გაშიშვლებული მეტალის კონსტრუქციების დაფარვას ანტიკოროზიული ხსნარებით. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო და სკოლაში იგეგმებოდა სამუშაოები ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დამატებითი განმარტებები გაეკეთებინათ პირველ სტანდარტში გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, როგორი სტრატეგია ჰქონდა სკოლას დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ განმარტა, რომ სკოლას გარკვეულ დოკუმენტაციაში ჰქონდა ხარვეზები, კერძოდ, ჩარჩენილი იყო სხვადასხვა სკოლის დასახელებები, ხოლო სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ჩასწორებული იყო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არსებული ხარვეზები, თუმცა სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთულ დოკუმენტებში კვლავ ფიქსირდებოდა ხარვეზები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა, დალი რაზმაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, არგუმენტირებული პოზიციის სახით გადმოგზავნილი იყო გასწორებული დოკუმენტები, სადაც ფიქსირდებოდა ხარვეზები, მათ შორის სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რატომ იყო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სხვა სკოლის ინფორმაცია ასახული და იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ჰქონდა ახალი ხედვა და მისია შემუშავებული, რატომ არ იყო აღნიშნული ინფორმაცია ასახული სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლის დირექტორმა, დალი რაზმაძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში რაჭაში არ იყო ელექტროენერგია და ინტერნეტი, რამაც გამოიწვია დოკუმენტაციის არევა, თუმცა სკოლას საკუთარი დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში ნამდვილად ჰქონდა სხვადასხვა სკოლების დოკუმენტები გამოყენებული ნიმუშის სახით, რათა მომხდარიყო შეჯერება და საუკეთესოს შერჩევა. აქვე, დალი რაზმაძემ განმარტა, რომ დაფიქსირებული იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რაც სკოლას გამოსწორებული ჰქონდა. ვებ-გვერდთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, რადგან სკოლის წარმომადგენლებს ვებ-გვერდზე განახლებულ დოკუმენტაციას უჩვენებდა, ხოლო გარეშე პირებს არა.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტით, კერძოდ, ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა მოსწავლეებისათვის წიგნიერების დონის ამაღლება, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ იყო გაწერილი აღნიშნული მიზნის მიღწევის ნაბიჯები. შესაბამისად, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, როგორ აპირებდნენ აღნიშნული მიზნის მიღწევას. გარდა ამისა, მაკა მამფორია დაინტერესდა, როგორ აღწევდა სკოლა მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და საჭიროებების დადგენასა და ხელშეწყობას, რომელიც გაწერილი ჰქონდათ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა, დალი რაზმაძემ განმარტა, რომ სკოლა ჩართული იყო USAID დაწყებითი განათლების გაძლიერების მოდელში და იმედოვნებდა, რომ ამ კონკურსის ფარგლებში მოხდებოდა მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლება, ხოლო მოსწავლეთა საჭიროებების დადგენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლა თანამშრომლობდა მულტიდისციპლინურ გუნდთან, რომელიც იყენებდა დიაგნოსტიკურ შეფასებებს. გარდა ამისა, სკოლა ჩართული იყო ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტში, რომლის ფარგლებში მასწავლებლები და დირექტორი ინტენსიურად გადიოდნენ ტრენინგ-კურსებს.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა სკოლას მისცა რჩევა, რომ მისია და ხედვა სკოლის ინდივიდუალურ ფასეულობებს მორგებოდა, გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა მე-4 სტანდარტით, კერძოდ, რა ვითარება იყო ბუფეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, დალი რაზმაძემ ბუფეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მიღებული ჰქონდა ნებართვა, კვების ბლოკის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც გამოცხადდა აუქციონი, თუმცა ორივეჯერ წარუმატებლად. აქვე, სკოლის დირექტორმა დაამატა, რომ გარდა კომპანიებისა, რეგიონში არ მოიძებნებოდა კერძო პირი, რომელიც გაუძღვებოდა ბუფეტის მუშაობას.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა სკოლის SWOT ანალიზში გამოვლენილი უზუსტობებით, კერძოდ, საფრთხეებში სკოლას დაფიქსირებული ჰქონდა მიგრაცია, ხოლო ძლიერ მხარეში ეწერა მოსწავლეთა შენარჩუნება. მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აღნიშნულ უზუსტობასთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის. სკოლის დირექტორის, დალი რაზმაძის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ჩათვლიდა, რომ მოსწავლე ვერ იღებდა ხარისხიან განათლებას, შვილს სხვა სკოლაში გადაიყვანდა, თუმცა მეორე მხრივ აღნიშნული სკოლა ხარისხიან განათლებას აწვდიდა მოსწავლეებს და ყველა ღონეს ხმარობდა მოსწავლეთა შენარჩუნებისთვის, შესაბამისად, სკოლა მიიჩნევდა, რომ მოსწავლეების შენარჩუნება მათი ძლიერი მხარე იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნის სწავლების ფარგლებში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ანა ანუშიძემ განმარტა, რომ ექსპერტთა მხრიდან გამოვლენილი იყო ხარვეზები, რომლებიც უკავშირდებოდა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესს და აღნიშნა, რომ მასწავლებლები მუშაობდნენ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისთვის და დავალებების დახვეწისათვის.
გარდა ამისა, შემაჯამებელი და მიმდინარე დავალებების ანალიზის დროს ექსპერტთა მხრიდან გაცემული იყო ზეპირსიტყვიერი რჩევა, კერძოდ, როდესაც ხდებოდა კონკრეტული დავალების ანალიზი, აუცილებელი იყო დაფიქსირებულიყო თუ რა ტიპის ტესტზე იმუშავა მოსწავლემ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450 - ით განსაზღვრის საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 17 იანვარი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 16:56
დასრულების დრო: 17:05

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 11-ე პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლას(ს/კ: 237976981) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 17 იანვარი. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი, ქ. ონი, მინდელის ქ. N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი, ქ. ონი, მინდელის ქ. N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი, ქ. ონი, მინდელის ქ. N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2026 წლის იანვრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

2. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მირანდა იაკობიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარაში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, მირანდა იაკობიძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აცნობიერებდა არაფორმალური განათლების მნიშვნელობასა და როლს მოსწავლეთა განვითარების, სხვადასხვა საჭირო უნარისა და თვალსაწიერის გაფართოების მიმართულებით. სკოლა ცდილობდა, განევითარებინა ისეთი უნარები, როგორიცაა კომუნიკაციის, გუნდურობის, შემოქმედებითად აზროვნების უნარი. აღნიშნული მიმართულებით სკოლა აქტიურად უწევდა პოპულარიზაციას არაფორმალურ განათლებას, ერთვებოდა სხვადასხვა აქტივობაში და თავადაც გეგმავდა ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა იყო მცირეკონტიგენტიანი და მხოლოდ 9 მოსწავლე სწავლობდა, განხორციელებული ჰქონდათ არა ერთი კლასგარეშე აქტივობა და ღონისძიება, რომელიც დადასტურებული იყო ფოტო-მასალითა და ETALONI.GE-ზე განთავსებული სტატიებით. ექსპერტის განმარტებით, კოლექტივის წევრებს გაცნობიერებული ჰქონდათ გუნდური მუშაობის მნიშვნელობა.

ექსპერტის განცხადებით, 1-ლი და მე-2 სტანდარტი (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 3.6 კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. აგრეთვე, „მეტწილი“ შესაბამისობით შეფასებული იყო 3.1, 3.2, 3.4, 3.5 და 3.7 კომპონენტები. რაც შეეხებოდა მე-4 სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 4.1 კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.

მირანდა იაკობიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რომელ წელს იყო სკოლა აშენებული, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და რა ეტაპზე იყო შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის

მოპოვების პროცესი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ცისანა ჩარკვიანმა განაცხადა, რომ სკოლა აშენდა 2022 წელს, ამასთან, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა უკვე წარმოდგენილი ჰქონდა ცენტრში. დირექტორმა, ასევე, დაადასტურა, რომ შენობა შესული იყო ექსპლუატაციაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტთა მიერ ერთ-ერთ რჩევად წარმოდგენილი იყო ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებათა დადგენის მექანიზმების შემუშავება, საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა რამ გამოიწვია აღნიშნული რჩევის გაცემა. ექსპერტმა, მირანდა იაკობიძემ განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებათა დადგენის მექანიზმი.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, ასევე, დაინტერესდა მოცემულ მომენტში თუ ჰქონდა სკოლას საპროგნოზო ან ფაქტობრივი ბიუჯეტი დამტკიცებული. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ცისანა ჩარკვიანმა განაცხადა, რომ სკოლას უკვე ჰქონდა ძირითადი ბიუჯეტი, რომელიც წარედგინა სამეურვეო საბჭოს და მოხდა მისი დამტკიცება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აგრეთვე აღნიშნა, რომ სკოლის მიმართ გაცემული რჩევები ეხებოდა მეორე სტანდარტს, კერძოდ, სასკოლო კურიკულუმებსა და მათში მეტი სიახლის დანერგვას, რაზეც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად მუშაობდა და აპირებდნენ ყველა რჩევის გათვალისწინებას. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ კურიკულუმები მოიცავდა ბევრ ხარვეზს და საჭიროებდა განვითარებას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას პირობები შესაბამისი მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის. ექსპერტმა, მირანდა იაკობიძემ დაადასტურა, რომ სკოლას გააჩნდა საკმარისი ფართი და რესურსი რომ საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი
ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 17 იანვარი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 17:35
დასრულების დრო: 17:45

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლას(ს/კ: 230868031) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 17 იანვარი. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯვარა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯვარა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2026 წლის იანვრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ლი და მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, 3.2, 3.4, 3.5, 3.6 და 4.1 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2026 წლის იანვრამდე. საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2020 წლის შემდეგ აყვანილი კადრების პირად საქმეში განთავსებულიყო ცნობები ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ და დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოედგინა ცენტრში. აგრეთვე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებათა დადგენის მექანიზმის შემუშავების, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებისა და უფლებამოსილ სამსახურთან შეთანხმების, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, მრჩეველთა საბჭოსა და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესაფასებლად მექანიზმის დამტკიცების, შენობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, საჯარო რეესტრის ამონაწერის,

სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისა და მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება-დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა